ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 04

2021 წელი 30 დეკემბერი

ქ. ბაღდათი

13:30 საათი

2021 წლის 30 დეკემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, ირინა ტყეშელაშვილი, გურამი ჩხეიძე, მურად ბურჯანაძე, მაია კბილაშვილი, დიომიდე კიკნაველიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, შადიმან გორგოძე, მაკა მესხი, ზვიად გუმბერიძე, იოსებ კვირიკაშვილი, ნინო კვირიკაძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე.

სულ: 20 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ირაკლი გოგსაძე, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, ნინო ფურცელაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მარეხი მშვენიერაძე - სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი;

თინა აბულაძე- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორიესო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;

ქეთევან კარკაძე - ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერი - სოფიო კუპატაძე.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი: თამთა ჯიხვაძე.

სხდომა მიმდინარეობდა პირდაპირი ეთერით, სოციალური ქსელის მეშვეობით.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 20-მა წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

ნ. გიორგიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი და აღნიშნა, რომ „შემოსულია მუნიციპალიტეტის მერის მომართვა რიგგარეშე სხდომის მოწვევაზე,

დღის წესრიგი

1.ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: –თინა აბულაძე– ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორიესო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
თანამომხსენებელი: სოფიო კუპატაძე - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერი.
მარეხი მშვენიერაძე – სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი;

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:
დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 20 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით სხდომაზე მოკლე განმარტება გააკეთა და განკარგულების პროექტი წარმოადგინა: **თინა აბულაძემ** - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივ და საერთაშორიესო დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი. მან აღნიშნა, რომ საკითხი ეხება ზედა დიმში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყოფილი არასრული სკოლის შენობის გადაცემას განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრისათვის, რომელიც იღებს ვადებულებას აღნიშნული შენობის რემონტზე და მასში ინკლუზიური ცენტრის მოწყობაზე.
წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ვრცელი განმარტება გააკეთა **სოფიო კუპატაძემ** - განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის ბავშვთა დაცვის პროგრამის მენეჯერმა, რომელმაც პროექტი წარმოადგინა სათანადო ილუსტრაციებით და უპასუცა საკრებულოს წევრების შეკითხვებს.
აზრი გამოთქვეს: ნონო კვირიკაძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, ნოდარ გიორგიძემ, მარეხი მშვენიერაძემ, თორნიკე გაჩეჩილაძემ.

ნინო კვირიკაძე - საკრებულოს წევრი- „გახარია-საქართველოსათვის“, იგი დაინტერესდა თუ როგორი კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის პირებს მოემსახურებოდა აღნიშნული ცენტრი? როგორც ს. კუპატაძემ განმარტა ცენტრი მოემსახურებოდა იმ ШШმ პირებს, რომლებიც არ საჭიროებენ მოვლის სერვის.

თორნიკე გაჩეჩილაძე - საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მან აღნიშნა, რომ „საკითხი განხილული იქნა საკრებულოს სამი კომისიის (ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა) გაერთიანებულ სხდომაზე და წარმოდგენილი პროექტი მხარდაჭერილი იქნა სხდომაზე დამსწრე სამივე კომისიის წევრების მიერ“.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N42 85 განკარგულება: გ-67.67213641 თარიღი: 30/12/2021 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ნოდარ გიორგიძე